ხელშეკრულება N62
სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით

ქ. ხონი მარტი 2023 წელი

ერთი მხრივ, ხონის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ლადო ჯურხაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: ხონი, თავისუფლების მოედანი N6
საიდენტიფიკაციო კოდი: №244961225
ტელეფონის ნომერი: 0495 222 555
ელ. ფოსტა: khonismeria@yahoo.com
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 300299921

და მეორე მხრივ, ინდ. მეწარმე ,,მიხეილ ჭონიშვილი“ წარმოდგენილი დირექტორის მიხეილ ჭონიშვილის სახით (შემდგომში -მომწოდებელი),
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჯა-ფშაველას მე-3კვ; მე-7 კორპ; ბ.N16
საინდენტიფიკაციო კოდი: 20001007445
ტელეფონის ნომერი: 599 505 006
საბანკო რეკვიზიტები: სს „ბაზის ბანკი“
ბანკის კოდი: CBASGE22
ა/ა GE96BS0000000005245844

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის “ა“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მესამე მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის პირველი მარტის N705 განკარგულების ,,ხონის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება“ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია: 2023 წლის 3 მარტს დედის დღესთან დაკავშირებით ანსამბლ ,,ალილოს" სახელოვნებო მომსახურეობა მიხეილ ჭონიშვილის ხელმძღვანელობით.
1.2 კლასიფიკატორის კოდი - CPV92300000 - გასართობი მომსახურებები; 92312120 - მომღერალთა ჯგუფების გასართობი მომსახურებები; 92312130 - ანსამბლების გასართობი მომსახურებები;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 5000.00 (ხუთიათასი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურეობის მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ანგარიშფაქტურის ან/და ინვოისის საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
3.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ხონის მუნციპალიტეტის მერი და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი.

4. მოწოდების ადგილი და ვადა

4.1 მომსახურეობა განხორციელდება: ხონის კულტურის ცენტრში.
4.2 მომსახურების გაწევის ვადაა: 2023 წლის 3 მარტი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
5.4 მიმწოდებელი ვალდებულია მოაწოდოს სათანადო ხარისხის საქონელი.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარე დაჯარიმდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02% ოდენობით.
6.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარესძირითად ვალდებულებების შესრულებისგან.
იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შორის შეთანხმებით.
7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის.
7.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
7.4 მხარე ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაშ, მხარე ვალდებულია დაუყონებლივ ან არაუმეტეს მომდევნო სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

10.1 ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონს მე-8 მუხლის შესაბამისად შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის არ წარმოიშობა ინტერესთა კონფლიქტი.

11. ხელშეკრულების მოქმდების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.
11.2 საქართველოს კანონის ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" თანახმად ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპის მეშვეობით:

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი: **მიმწოდებელი:**

Self-governing unit the municipality of Khoni
Digitally signed by Self-governing unit the municipality of Khoni
DN: cn=Self-governing unit the municipality of Khoni, 2.5.4.97=NTRGE-244961225, o=[illegible], c=GE
Date: 2023.03.02 14:01:19 +04'00'

Mikheil Chonishvili 20001007445
Digitally signed by Mikheil Chonishvili
Date: 2023.03.02 13:46:32

სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080170149154823

№ 705 01 / მარტი / 2023 წ.

ხონის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 27 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ხონის მუნიციპალიტეტის მერიის SMP230000641 მომართვა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შესყიდვის ობიექტია, ანსამბლ „ალილოს“ (მიხეილ ჭონიშვილის ხელმძღვანელობით) სახელოვნებო მომსახურება (CPV-92300000 - გასართობი მომსახურებები; 92312120 - მომღერალთა ჯგუფების გასართობი მომსახურებები; 92312130 - ანსამბლების გასართობი მომსახურებები), ღირებულებით, 6250 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2023 წლის 3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, ხონის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ანსამბლ „ალილოს“ კონცერტი. აღსანიშნავია, რომ ანსამბლი „ალილო“ (მიხეილ ჭონიშვილის ხელმძღვანელობით) დარეგისტრირებულია საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში, როგორც შემსრულებელი. აღნიშნული დასტურდება მომართვაში წარმოდგენილი 23.02.2023 წლის 01/100-8776 ცნობით. შესაბამისად, წარმოადგენს ექსკლუზიურ მიმწოდებელს.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესაძლებლობა, იმდენად რამდენადაც, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მომართვაში წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტაციიდან ირკვევა, ანსამბლი „ალილო“ (მიხეილ ჭონიშვილის ხელმძღვანელობით) დარეგისტრირებულია საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში, როგორც შემსრულებელი. აღნიშნული დასტურდება მომართვაში

წარმოდგენილი 23.02.2023 წლის 01/100-8776 ცნობით. შესაბამისად, წარმოადგენს ექსკლუზიურ მიმწოდებელს.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ მომსახურების გაწევაზე ექსკლუზიური უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის შერჩევის პროცედურების წარმართვა წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის პასუხისმგელობას.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს ხონის მუნიციპალიტეტის მერიის SMP230000641 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე